MES 5 23 0001429702

24/10/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები

ცირა კეჟერაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ცხოვრებაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ელენე ცირამუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის საჯარო სკოლა

ია ძამუკაშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ რუსთავის N15 საჯარო სკოლა

ბელა მარტიაშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №16 საჯარო სკოლა

მზია სულამანიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1საჯარო სკოლა

ნონა ჟვანია - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის საჯარო სკოლა

ა) მაკა ტუკვაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ბ) დავით ჩხაიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

გ) ნანა გიორგობიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

დ) სოფიო მგალობლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ე) ნანა ჩილინგარაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ვ) ანა ობოლაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ზ) მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

თ) შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ი) ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

კ) ნანა კასრაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ლ) ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ რუსთავის N15 საჯარო სკოლა

ა)თამარ მიდელაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ბ) ნათია ქოქუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

გ) ნელი ნაოჭაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

დ) მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ე) ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ვ) ეკატერინე ჟვანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ზ) ლალი აბულაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
თ) ლილი კაცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ი) ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
კ) ნატო შაინიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №16 საჯარო სკოლა
ა) დავით ჭეიშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ნონა ჩუბინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ნანა სონღულაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) მარინე ხუციშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ე) მარიამ კუჭუხიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) მანანა ჯაყელი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ზ) მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
თ) ელიზა კუკავა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ი) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
კ) თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ლ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლა

ა) ზვიად ბერიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ნანა ღაჭავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ნინო ჭიჭინაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) შორენა გაგნიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნინო ბურჯანაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) მაკა გიორგბერიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) მაკა აფრიამაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) თეა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ნანი სალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ქეთევან ბორაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 11 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ რუსთავის N15 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №16 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მისი განცხადებით, სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 350 მოსწავლეს, რასაც ასევე ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი.

ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სკოლის საუკეთესო გამოცდილება და ხაზი გაუსვა მოსწავლეების ჩართულობას არაფორმალური განათლებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.
მან განმარტა, რომ დაწესებულების რეაბილიტაცია განხორციელდა 2018 წელს მილენიუმის პროექტის ფარგლებში. სკოლა იყო საკმაოდ მოწესრიგებული, ხოლო საკლასო ოთახები მოსწავლეთათვის ქმნიდა სასიამოვნო გარემოს. სკოლას ჰქონდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, გარდა 11 საკლასო ოთახისა, ასევე კომპიუტერული კლასი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, სივრცე სპორტული აქტივობების ჩასატარებლად დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის სკოლა უზრუნველყოფდა სპორტულ დარბაზზე ხელმისაწვდომობას. რაც შეეხება, გარე სპორტულ მოედანს, ექსპერტის განმარტებით, იგი საჭიროებდა რეაბილიტაციას. სკოლის შენობა იყო ადაპტირებული, საკლასო ოთახები აღჭურვილი მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლებისთვის განკუთვნილი ინვენტარითა და დაფებით. სკოლა გეგმავდა სასწავლო პროცესი განეხორციელებინა ორ ცვლაში.
ექსპერტის თქმით, პირველი სტანდარტი და მეორე სტანდარტის სამივე საფეხურის კურიკულუმი შეფასდა, როგორც "შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". მეორე სტანდარტთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევები.
ექსპერტმა დასძინა, რომ მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ გამომდინარე იქიდან რომ 3.4.და 3.6. კომპონენტები შეფასდა მეტწილ შესაბამისად. მისი განმარტებით, ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები დეტალურად იყო აღწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა განაცხადა, რომ მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც "შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით სკოლას მიეცა რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, დაეზუსტებინათ, თუ როგორ უზრუნველყოფდა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციას, რადგანაც დასკვნასა და ასევე ექსპერტთა პრეზენტაციაში ჩანდა, რომ სკოლას ოფიციალური ვებგვერდი არ ჰქონდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის იყენებდა სოციალურ ქსელს. ამავე საკითხის განვრცობისა და დაზუსტების მიზნით, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას მიმდინარე ეტაპზე უკვე შექმნილი ჰქონდა ვებგვერდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, რომელზეც ეტაპობრივად აისახა ყველა საჭირო ინფორმაცია. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ რადგან სკოლას უკვე ჰქონდა ინფორმატიული ვებგვერდი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია 3.6 კომპონენტთან მიმართებით შესრულებული იყო.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, ჰქონდა თუ არა სკოლას კომუნიკაცია შესაბამის უწყებასთან გარე სპორტული მოედნის მოწყობასთან დაკავშირებით, რაზეც წარმომადგენელმა განმარტა რომ დაწესებულებას ჰქონდა საკმარისი ფართი გარე სპორტული მოედნის მოსაწყობად, რაც სკოლის მიერ პრიორიტეტულ საკითხად სახელდებოდა ინფრასტრუქტურული პროექტების წარდგენისას. საბჭოს წევრის, ეკატერინე კვირიკაშვილის მორიგი კითხვა ეხებოდა სკოლის ფინანსური რესურსით გარე მოედნის რეაბილიტაციასა და ახლო მდებარე მუნიციპალური მოედნით სარგებლობას. პასუხად, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკუთარი

ფინანსური სახსრებით ვერ უზრუნველყოფდა სპორტული მოედნის მოწყობას, ხოლო რაც შეეხებოდა მუნიციპალიტეტის გარე მოედნის სასწავლო მიზნისთვის გამოყენებას, გაკვეთილების გეგმა-გრაფიკი შეთანხმებული იყო რუისპირის ტერიტორიული ერთეულის მერიის წარმომადგენელთან. აღნიშნულის საფუძველზე, სკოლა სარგებლობდა უსაფრთხო, ღია სპორტული მოედნით, რომელიც მდებარეობდა სკოლასთან ახლოს, რაც ასევე დაადასტურა ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემაც.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ვინაიდან ამ დროისათვის სკოლას არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი დასაქმებული, ადრეც ჰქონდათ თუ არა ვაკანსია გამოცხადებულ ექიმის პოზიციაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ განმარტა, რომ ექიმის პოზიციაზე კონკურსის წესით დროებით ჰყავდა დასაქმებული პირი, რომელსაც 15 სექტემბერს ამოეწურა ხელშეკრულების ვადა, რის შემდეგაც დაწესებულებამ გამოაცხადა ვაკანსია ექიმის პოზიციაზე. საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა დაწესებულებას მისცა რჩევა ექიმის პოზიციისათვის შემუშავებულ დამატებით მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა კანდიდატის სამუშაო გამოცდილებასა და საცხოვრებელ ადგილს. კერძოდ, დაწესებულებამ გაასწოროს ჩანაწერი საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით, რათა ყველას თანაბრად მიეცეს კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა. ხოლო, სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით დააზუსტოს ჩანაწერი იმგვარად რომ ცხადი იყოს, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე მინიმუმ 3 წლის განმავლობაში მსგავს პოზიციაზე მუშაობა გულისხმობს, არა სკოლის ექიმის პოზიციაზე მუშაობის 3 წლიან გამოცდილებას, არამედ კანონმდებლობით დადგენილი კვალიფიკაციის შესაბამის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებას. აღნიშნული რჩევები საბჭოს სხვა წევრებმაც გაიზიარეს.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინა საკითხი, სამოქალაქო განათლების მიმართულებით კურიკულუმით გათვალისწინებული პროექტების თაობაზე აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სამოქალაქო განათლების კუთხით, სავალდებულო იყო ორი პროექტის განხორციელება, თითოეულ სემესტრში - თითო. შესაბამისად, სკოლამ მეათე კლასის პირველ სემესტრში მოსწავლეებთან ერთად განახორციელა პროექტი „ბულინგი, კიბერბულინგი და მასთან დაკავშირებული საფრთხეები სკოლაში“. პროექტის თემა განისაზღვრა წინარე კვლევის საფუძველზე, მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. პროექტის შედეგები გაზიარდა სხვა კლასის მოსწავლეებთან. მედიაწიგნიერების მიმართულებას ეხებოდა მეორე სემესტრის პროექტი, სახელად: „ჟურნალისტიკა, ყალბი ამბები და დეზინფორმაცია“. სკოლის წარმომადგენელმა დასძინა, რომ სამოქალაქო განათლების პედაგოგს სწორედ აღნიშნული თემატიკის კუთხით ჰქონდა ტრენინგი გავლილი. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს პრეზენტაციები საკითხთან დაკავშირებული მთავარი თემების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2, და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სსიპ-თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის საჯარო სკოლას (ს/კ: 231188719) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.
დაწესებულებას მიეცეს უფლება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუისპირი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუისპირი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუისპირი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გასცა რეკომენდაცია, დაწესებულებას, 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტით განსაზღვრული შესაბამისობის უზრუნველყოფის ამსახველი

დოკუმენტაცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციები.

2. სსიპ - ქალაქ რუსთავის N15 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა. მისი განცხადებით, სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17 და 18 აგვისტოს, ქალაქ რუსთავში, მე-8 მიკრო რაიონში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1100 მოსწავლეს.

ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა ქალაქ რუსთავში, 14 328 კვ.მეტრ ფართობზე, ხოლო შენობა-ნაგებობების საერთო ფართი შეადგენდა 2179 კვ.მეტრს. სკოლას ჰქონდა საკმაოდ მრავალფეროვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თუმცა ვერ ქმნიდა ინკლუზიურ გარემოს, ვინაიდან არ იყო უზრუნველყოფილი ადაპტირებული გარემო ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. სკოლის შენობა გარემონტდა 2017-2018 წლებში, კეთილმოეწყო ნათელი საკლასო ოთახები, სპორტული და სააქტო დარბაზები, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა. სკოლას ჰქონდა შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ჰყავდა კვალიფიციური ექიმი. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა არაფორმალური განათლების მხარდამჭერი პროგრამები.

ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განმარტებით, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც "შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". მეორე სტანდარტის სამივე საფეხურის კურიკულუმი შეფასდა ასევე, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, გამომდინარე იქიდან რომ 3.1., 3.4., 3.5., და 3.6. კომპონენტები შეფასდა მეტწილ შესაბამისად. მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც "შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტის განმარტებით, ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები დეტალურად იყო აღწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა, გაიცა თუ არა სკოლაში რჩევა ამ კუთხით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ეკატერინე ჟვანიამ განმარტა, რომ, დაწესებულებას საგნის - „მე და საზოგადოების“ მიმართულებით, აკლდა მესამე კლასის საგნობრივი კურიკულუმი. მისი განმარტებით, სკოლაში ვიზიტისას, პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდა აღნიშნული საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებას სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებამდე. საუბარში ჩაერთო სკოლის წარმომადგენელი, რომელმაც დააზუსტა, რომ „მე და საზოგადოების“ საგნობრივი კურიკულუმი მესამე კლასისათვის უკვე შემუშავებული იყო.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, დაზუსტების მიზნით, შეკითხვით მიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს შესრულებული იყო თუ არა კვლევის კომპონენტი ბიოლოგიის მიმართულებით. ექსპერტმა, ნელი ნაოჭაშვილმა, განმარტა, რომ ბიოლოგიის მასწავლებლებს ჰქონდათ არაერთი პროექტი განხორციელებული. გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებდა ეკოკლუბი და ფუნქციონირებდა სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ რჩევა მისცა სკოლის წარმომადგენლებს, კურიკულუმში, კერძოდ, სასწავლო რესურსების ნაწილში, ნაცვლად მითითებული ვიდეო რგოლისა ან/და /ინტერნეტ რესურსისა, დაფიქსირებულიყო კონკრეტული ბმული/მისამართი, სადაც მოცემული რესურსი იქნებოდა განთავსებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ დაწყებული ვებგვერდის შემუშავების პროცესი, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას უკვე შექმნილი ჰქონდა ოფიციალური ვებგვერდი, სადაც ეტაპობრივად უზრუნველყოფდა სკოლის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და სთხოვა დაზუსტება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით რეკომენდაციის შემუშავებაზე, რამდენადაც, აღნიშული საკითხი ძირითადად რჩევის სახით გაიცემოდა სკოლების მიმართ. ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა, განმარტა, რომ სკოლას ვიზიტისას უკვე დაწყებული ჰქონდა ამ მიმართულებითაც მუშაობა და გამოხატავდა მზაობას, დაესაქმებინა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შესაბამისად, შემუშავდა რეკომენდაციების ერთიანი პაკეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ რუსთავის N15 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2, და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სსიპ - ქალაქ რუსთავის N15 საჯარო სკოლას (ს/კ: 216297139) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1100-ით. დაწესებულებას მიეცეს უფლება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი რუსთავი, მე-8 მიკრო რ-ნი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი რუსთავი, მე-8 მიკრო რ-ნი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი რუსთავი, მე-8 მიკრო რ-ნი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გასცა რეკომენდაცია, დაწესებულებას, ცენტრში წარმოედგინა დოკუმენტაცია, მესამე სტანდარტის - 3.1., 3.4., 3.5., და 3.6. კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ 2025 წლის ოქტომბრამდე.

3. სსიპ - დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N16 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ჭეიშვილმა. მისი თქმით, სსიპ-დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N16 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 13 და 14 ივნისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის გამზირზე, N9-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1100 მოსწავლეს.

ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე დათვალიერება და მიზნობრივ ჯგუფებთან ჩაატარა ინტერვიუირების პროცესი. ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა და შემდეგნაირად განლაგდა: პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.5 შეფასდა მეტწილ შესაბამისად. რაც შეეხება მეოთხე და მეორე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეაფასა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

პრეზენტაციის ფორმატში, ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და შეეხო სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის საკითხს, რომლის მიხედვითაც შენობა - ნაგებობა წარმოადგენდა მდგრად ობიექტს, თუმცა დასკვნის მიხედვით, შენობის მეოთხე სართულის გამოყენება სასწავლო პროცესებისთვის, აკრძალული იყო.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯომარემ, დავით მალაზონიამ, ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, უქმნიდა თუ არა საფრთხეს მეოთხე სართულის მდგომარეობა დანარჩენ სართულებს და ასევე, მოსწავლეთა უსაფრთხოებას, რაც თავისმხრივ განმარტა დავით ჭეიშვილმა და აღნიშნა, რომ მეოთხე სართულის მდგომარეობა არ იყო საფრთხის შემცველი სხვა სართულებზე მყოფი მოსწავლეებისათვის.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დასკვნაში აღწერილი გარემოებები ვერ აკმაყოფილებდა სეისმომედეგობის სტანდარტს. მან შეკითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა, თუ რა ღონისძიებების გატარებას აპირებდა სკოლა რეაბილიტაციამდე და მიმართა, თუ არა ამ მიზნით სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მზია სულამანიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხებთან დააკავშირეთ მიმდინარეობდა მუშაობა, კერძოდ, დასკვნა სკოლამ მიიღო სექტემბერში, რის შემდეგაც მათ მიმართეს ზემოაღნიშნულ სააგენტოს და ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლას მისცა რეკომენდაცია, მეოთხე სართული არ გამოეყენებინა სასწავლო მიზნებისთვის, სანამ არ მოხდებოდა მისი რეაბილიტაცია.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ განაცხადა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, ბიოლოგიისა და მათემატიკის ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმაში იყო მთელი რიგი შეუსაბამობები. მან ექსპერტებს სთხოვა, დაეზუსტებინათ, გაეცნო თუ არა ჯგუფი აღნიშნულ დოკუმენტებს და, რა რჩევები გაიცა ამ მიმართულებით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების ექსპერტმა, ნანა სონღულაშვილმა, განაცხადა, რომ წარმოდგენილი მასალები სკოლას გასულ წელს ჰქონდა შემუშავებული, შესაბამისად, არ ეხმიანებოდა განახლებულ კურიკულუმს. მან დასძინა, რომ ვიზიტის დროს, კათედრასთან გასაუბრებისას, მასწავლებლებმა ისაუბრეს მოცემული ინტეგრირებული გაკვეთილის თემატიკაზე მათემატიკასა და ბიოლოგიაში, რომელიც იყო მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებაზე ფოკუსირებული. ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ მან გასცა გარკვეული რჩევები მოცემული გაკვეთილისა და კურიკულუმების მიმართულებით, რაც მასწავლებლებმა გაიზიარეს და გამოხატეს მზაობა, გაეთვალისწინებინათ ყველა რჩევა თუ რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N16 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მან არ დაუჭირა მხარი სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N16 საჯარო სკოლის(ს/კ:209469109) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1100- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სარაჯიშვილის გამზირი #9. 0178 თბილისი, საქართველო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სარაჯიშვილის გამზირი #9. 0178 თბილისი, საქართველო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სარაჯიშვილის გამზირი #9. 0178 თბილისი, საქართველო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მეორე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ცენტრში წარმოედგინა მესამე სტანდარტის - 3.1., 3.4. და 3.5. კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დოკუმენტაცია 2024 წლის ოქტომბრამდე.

საბჭოს თავმჯომარემ განმარტა რომ მეორე სტანდარტის მონიტორინგი განაპირობა გარკვეულმა გარემოებებმა კერძოდ, კურიკულუმები საჭიროებდა რევიზიას და განვითარებას სწავლა-სწავლებისა და შეფასების საკითხებში.

საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა 18:30 საათზე

4. სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზვიად ბერიძემ. მან განაცხადა, რომ სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 5 და 6 სექტემბერს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ ფოთში, აკაკის ქუჩა N44 ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1200 მოსწავლეს.

ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე დათვალიერება და მიზნობრივ ჯგუფებთან ჩაატარა ინტერვიუირების პროცესი. ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა, კომპონენტი 1.2 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან, კომპონენტები 3.1, 3.4 3.5 და 3.6 შეფასდა მეტწილშესაბამისად. რაც შეეხება მეოთხე სტანდარტს - შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან, კომპონენტი 4.1 ჯგუფმა შეაფასა, როგორც მეტწილად შესაბამისი, ხოლო მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა, პრეზენტაციის ფორმატში წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სტანდარტის შესაბამისი ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და საკლასო ოთახები, თუმცა სპორტული მოედანი

საჭიროებდა რეაბილიტაციას. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომელიც მიუთითებდა არაფორმალური განათლების ძლიერ მხარეზე, რომელსაც სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. მოსწავლეებს აქტიური მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული არაერთ პროექტსა და კონკურსში .

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილშესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა, რა იყო განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, რამაც გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასება, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, შორენა გაგნიძემ, აღნიშნა, რომ პირველადი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტისა და გაცემული რეკომენდაციების შემდეგ, სკოლამ ცენტრის გავლით წარმოადგინა კორექტირებული კურიკულუმების ვერსია. სამოქალაქო განათლების მიმართულებით, ასევე წარმოდგენილი იყო პროექტული სწავლების შემდგომი ანგარიში. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას და აქედან გამომდინარე, ამ მხრივ, აქტიური მუშაობით გამოირჩეოდა სამოქალაქო განათლების კლუბი.

საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე, დაინტერესდა მოსწავლის ადაპტაციის წესით, რომელშიც აქცენტები კეთდებოდა მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაზე. ამ მიზნით, მან სკოლის წარმომადგენელს სთხოვა, დაეზუსტებინა, რა სახის ინსტრუმენტების გამოყენებით ახერხებდნენ, გათვალისწინებულიყო მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები. სკოლის დირექტორმა, ნონა ჟვანიამ, განმარტა, რომ ძირითადად, სკოლის პერსონალი მიმართავდა დაკვირვების მეთოდს, რომელსაც ახორციელებდა საგაკვეთილო პროცესში და განსაზღვრავდა მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ასევე კონკრეტულ შემთხვევებში მასწავლებლები იყენებდნენ კითხვარებს, რომლებიცეხმარებოდა მათ, გამოერკვიათ მოსწავლეთა ინტერესები და ამის მიხედვით დაეგეგმათ შემდგომი ნაბიჯები მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის (ს/კ:215108309) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ფოთი, აკაკის ქ.N44
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ფოთი, აკაკის ქ.N44
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ფოთი, აკაკის ქ.N44

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: პირველი და მეორე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ცენტრში წარმოედგინა მესამე სტანდარტის 3.1., 3.4., 3.5., 3.6. და 4.1. კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დოკუმენტაცია 2025 წლის ოქტომბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მეორე სტანდარტის მონიტორინგი განაპირობა გარკვეულმა გარემოებებმა კერძოდ, კურიკულუმები საჭიროებდა რევიზიასა და განვითარებას სწავლა-სწავლებისა და შეფასების საკითხებში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა 19:10 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა